2015

საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ბიულეტენი №2

პერიოდული გამოცემა
ზაფხული 2015

ფოტო (shutterstock)
http://www.salon.com/2012/10/15/us_has_more_prisoners_prisons_than_any_other_country/

შინაარსი

1. სახალხო დამცველის მისალმება 3

2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი 4

3. მთავარი მოვლენა 5

3.1 პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშის პრეზენტაცია 5

4. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა 6

4.1 განხორციელებული ვიზიტები 6
4.1.1 ანგარიში ქალთა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ 6
4.1.2 ვიზიტი N2 პენიტენციურ დაწესებულებაში 6
4.1.3 შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის სამმართველოებში განხორციელებული მონიტორინგი 7
4.1.4 ანგარიში N7 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ 8
4.2 დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან 10
4.3 სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება 12
4.3.1 სამუშაო შეხვედრა: ქალთა პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგის სახელმძღვანელოს შემდგომი დახვეწა 12

5. ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესახებ 12

5.1 ქუთაისის N2 პენიტენციური დაწესებულების მიმოხილვა 12

6. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა 13

6.1 რეკომენდაციების შესრულების დინამიკის მიმოხილვა 13

7. საკანონმდებლო მიმოხილვა 16

7.1 საკანონმდებლო წინადადებები და ცვლილებები კანონმდებლობაში 16
7.2 საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა 16
7.2.1 წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის შესახებ საჩივრის წარდგენის გამო რეპრესიების და სანქციების დაკისრების დაუშვებლობა საერთაშორისო სამართალში 16
7.3 საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში 18

8. ფოკუსი 19

8.1 განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის აღსრულების თავისებურებანი 19

9. ექსპერტის მოსაზრება 20

10. საერთაშორისო სიახლეები 22

11. მომავალი ღონისძიების ანონსი 22

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

პრევენციის ეროვნული მექანიზმის N2 ბიულეტენის გამოცემით, ვაგრძელებთ საზოგადოების ინფორმირებას პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის შესახებ. წინამდებარე ნომერში წარმოდგენილი იქნება პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ზაფხულის პერიოდში განხორციელებული აქტივობები. პირველ რიგში აღსანიშნავია 26 ივნისს წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაცია. ასევე, ათზე მეტი ვიზიტი განხორციელდა თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ადგილებში და გამოქვეყნდა ვიზიტის შემდგომი ანგარიშები.

ხაზგასასმელია, რომ განხორციელდა პოლიციის სამმართველოებისა და იზოლატორების სრულმასშტაბიანი მონიტორინგი; პრევენციის ეროვნული მექანიზმისა და თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტემენტის მიერ ერთობლივად ჩატარდა სენაკის სამხედრო ნაწილისა და სენაკის ჰაუპტვახტების მონიტორინგი; გამოქვეყნდა N3 და N5 (ქალთა) პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტის შემდგომი ანგარიშები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პენიტენციურ სისტემაში საჩივრის/მოთხოვნის განხილვის პროცედურის და ამ პროცედურისადმი პატიმართა ნდობის ხარისხისა და დამოკიდებულების კვლევას. აღნიშნული ტიპის კვლევა პირველად ხორციელდება.

ბიულეტენში აქცენტები გაკეთდა დახურული ტიპის დაწესებულებებში წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის, უსაფრთოხების დაცვისა და წესრიგის შენარჩუნების კუთხით არსებულ ვითარებაზე.

საანგარიშო პერიოდში არაერთი განცხადება გავაკეთე ცრუ დასმენის ფაქტზე არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლის მიმართ ბრალის წაყენების საგანგაშო შემთხვევასთან დაკავშირებით და სასამართლოს წარვუდგინე სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, სადაც აღვნიშნე, რომ ზემოთ ხსენებული შემთხვევა უარყოფით ზეგავლენას მოახდენს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის პრევენციაზე.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით ხორციელდება არაერთი აქტივობა, რომელიც მოიცავს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის სრულყოფასა და თანამშრომლების პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერებას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქალთა დაწესებულების მონიტორინგის სახელმძღვანელოს დახვეწა, ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის სახელმძღვანელოს შექმნა და რამდენიმე სასწავლო ვიზიტის განხორციელება.

2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი

2009 წლიდან საქართველოში პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს ასრულებს საქართველოს სახალხო დამცველი. ამ მიზნით საქართველოს სახალხო დამცველთან შეიქმნა სპეციალური პრევენციული ჯგუფი, რომლის უფლებამოსილებები განსაზღვრულია „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმის დებულებების განმარტებისა და პრაქტიკაში წამოჭრილი მნიშვნელოვანი კითხვებისთვის პასუხის გაცემის მიზნით, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტმა პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები გამოსცა.[1] სახელმძღვანელო პრინციპებში მოცემულია რამდენიმე ძირითადი საკითხი, რომლის თანახმადაც, პრევენციის ეროვნული მექანიზმი წარმოადგენს ზედამხედველობის დამატებით სისტემას და ის არ ცვლის არსებულს ან არ გამორიცხავს ზედამხედველობის სხვა სისტემების შექმნას.[2] საკანონმდებლო აქტით განსაზღვრულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი და უფლებამოსილება, ასევე, უზრუნველყოფილია მისი ფუნქციონალური დამოუკიდებლობა.

ფაკულტატური ოქმის მე-4 მუხლის თანახმად, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის ან შეზღუდვის ყველა დაწესებულებაზე. წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით, პრევენციის ეროვნული მექანიზმი და სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები მუდმივად უნდა აწარმოებდნენ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების განხილვას. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციონირების ეფექტიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენს განგრძობად ვალდებულებას და შესაბამისად პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტიანობა მუდმივად უნდა მოწმდებოდეს როგორც სახელმწიფოს, ასევე თავად პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ. ამასთან, ამ პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული წამების პრევენციის ქვეკომიტეტის შესაბამისი მოსაზრებები.

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა საკუთარი მანდატის თითოეული ასპექტის შესრულებისას ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი. პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებს მოეთხოვებათ რეგულარულად გადასინჯონ მათი საქმიანობის მეთოდოლოგია და ქმედუნარიანობის ასამაღლებლად გაიარონ შესაბამისი სწავლება.[3] პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა უნდა შეიმუშავოს სამუშაო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს დროთა განმავლობაში სახელმწიფოს ეფექტურ კონტროლს დაქვემდებარებულ თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ყველა ადგილის მოინახულებს და იქ შესაბამისი შემოწმების ჩატარებას. საქმიანობა უნდა დაიგეგმოს და რესურსების გადანაწილდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ადგილების ისეთი სიხშირით მონახულება, რაც ეფექტიან წვლილს შეიტანს წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის საქმეში.[4]

პრევენციის ეროვნული მექანიზმი ყოველი ვიზიტის შემდგომ გამოსცემს ანგარიშებს, ასევე წლიურ და სხვა ფორმის ანგარიშებს საჭიროების შესაბამისად. ამგვარი ანგარიშები, სადაც ეს აუცილებელია, უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციებს, რომელიც თავის მხრივ შემუშავებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის შესახებ მიღებული ნორმების, მათ შორის, წამების პრევენციის ქვეკომიტეტის კომენტარებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. პრევენციის ეროვნული მექანიზმი ვალდებულია სრულად დაიცვას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.[5]

---

[1] პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები, წამების პრევენციის ქვეკომიტეტი, 2010, პარ. 2.

[2] იქვე პარ. 5

[3] პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები, პარ. 30-31

[4] იქვე პარ. 33-34

[5] იქვე პარ. 36-37

3. მთავარი მოვლენა

3.1 პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშის პრეზენტაცია

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2015 წლის 26 ივნისს წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა პრევენციის ეროვნული მექანიზმის წლიური ანგარიშის პრეზენტაცია გამართა. შეხვედრის გახსნისას სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ კონვენცია წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს გამოიძიონ წამების ყველა ფაქტი, პასუხისგებაში მისცენ და დასაჯონ დამნაშავეები, გადაუხადონ კომპენსაცია მსხვერპლს, ანუ მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა დაუსჯელობასთან საბრძოლველად. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ გამოთქვა თავისი პოზიცია, შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ჩადენილი წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების ეფექტურ გამოძიებას უზრუნველყოფს.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ ბორის იაროშევიჩმა თავისი მისასალმებელ სიტყვაში ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ შეტანილ წვლილზე ისაუბრა. ასევე აღნიშნა, რომ სწორედ ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირება არის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი, რომელსაც ევროკავშირში გაწევრიანების მსურველი ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს. ამ მიმართულებით კი საქართველოსთან მიმდინარე დიალოგის ფორმატში ევროკავშირის უმთავრესი რეკომენდაცია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნაა.

სახალხო დამცველის მოადგილემ ნათია კაციტაძემ პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ანგარიში წარმოადგინა. ისაუბრა 2014 წლის განმავლობაში, დახურული დაწესებულებებში განხორციელებულ მონიტორინგზე, მონიტორინგის შედეგების ამსახველ ანგარიშებზე, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობაზე, ტრენინგებზე, შეხვედრებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე, ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებასა და სამომავლო გეგმებზე.

ნათია კაციტაძემ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მედია აქტივობაზე საუბრისას დამსწრეთ სახალხო დამცველის ვებ–გვერდზე პრევენციის ეროვნული მექანიზმის პროაქტიულად განახლებადი ნაწილი და ყოველკვარტალური საინფორმაციო ბიულეტენის პირველი ნომერი წარუდგინა. ბიულეტენი მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებას და ცნობიერების ამაღლებას პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის, დახურული ტიპის დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის, წამების პრევენციის სფეროში საერთაშორისო სიახლეებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში შესული პრევენციის ეროვნული მექანიზმის თავი პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა კვარაცხელიამ წარმოადგინა. მან მოკლედ მიმოიხილა წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის გარანტიები, წესრიგი და უსაფრთხოება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, პატიმრობის პირობები, პენიტენციური ჯანდაცვა, პატიმართა კონტაქტი გარე სამყაროსთან, რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია, მდგომარეობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ორგანოებში, მიგრანტთა დაცვა არასათანადო მოპყრობისგან, თავისუფლება აღკვეთილ/შეზღუდულ უფლ პირთა მდგომარეობა, ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში. ნიკა კვარაცხელიამ ხაზი გაუსვა იმ პრობლემებს და გამოწვევებს, რომლებიც მიუხედავად არაერთი პოზიტიური ცვლილებისა, კვლავაც რჩება დახურული ტიპის დაწესებულებებში და მათი გადაჭრისკენ მიმართული, სახალხო დამცველის კონკრეტული რეკომენდაციები წარმოადგინა.

პრეზენტაციების მსვლელობისას, და შემდგომ გამართულ დისკუსიაზეც, განსაკუთრებული სიმწვავით გამოიხატა საქართველოს სახალხო

დამცველისთვის წამების და არასათანადო მოპყრობის ფაქტზე მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს პროკურატურის მიერ ერთ–ერთი პატიმრის მიმართ ცრუ დასმენის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმის წარმოების საკითხი. აღინიშნა, რომ მსგავსი პრეცედენტი პატიმრების მხრიდან სახალხო დამცველისათვის მიმართვისგან შემდგომში თავის შეკავების რისკს შეიცავს და არსებითად ეჭვქვეშ აყენებს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე სახელმწიფო მიერ ნაკისრ წამების წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულებას.

4. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა

4.1 განხორციელებული ვიზიტები

4.1.1 ანგარიში ქალთა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ

2015 წლის 13 ივლისს გამოქვეყნდა ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის N5 დაწესებულების მონიტორინგის ანგარიში. მონიტორინგი ჩატარდა 19–20 თებერვალს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ. ვიზიტი გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა და მიზნად ისახავდა ქალი პატიმარების საჭიროებების გამოვლენას და შეფასებაზე დაყრდნობით რეკომენდაციების მომზადებას. მონიტორინგის ჯგუფმა ქვეყნის შიდა კანონმდებლობით და ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესებით (ბანგკოკის წესები) დადგენილი სტანდარტებით იხელმძღვანელა.

მონიტორინგის დროს დაწესებულებაში სულ 272 სრულწლოვანი ქალი პატიმარი იმყოფებოდა, აქედან 52 ბრალდებული და 220 მსჯავრდებული, 3 ქალს ჰქონდა სამუდამო პატიმრობა მისჯილი, ხოლო ერთი მათგანი ორსულად იყო. მონიტორინგის მიგნებებს შორის დადებითად აღსანიშნავია ბრალდებულების/ მსჯავრდებულების განთავსებისა და პატიმრის გადაყვანის შესახებ ოჯახის დაუყონებლივ ინფორმირების პრაქტიკა. დადებითად უნდა აღინიშნოს მსჯავრდებულების ჩართულობა სხვადასხვა სახის სასწავლო და შემოქმედებით აქტივობებში, აგრეთვე არაქართულენოვანი მსჯავრდებულისთვის სხვადასხვა კორესპონდენციის თარგმნისთვის დაწესებულებაში თარჯიმნის მოწვევის პრაქტიკა.

ძირითადი პრობლემები გამოიკვეთა ქალი პატიმრის ციხეში მიღებასა და ტრანსპორტირების პროცედურებთან დაკავშირებით. კონკრეტულად კი, N5 დაწესებულებაში პატიმრების მიღების და დაწესებულებიდან გაყვანის დროს ხდება მათი შიშველი შემოწმება, ამასთან, პატიმრებს ავალდებულებენ გააკეთონ ბუქნები, რაც პატიმართა შეფასებით დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენს. პატიმარმა დედებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ მათი ტრანსპორტირება (სასამართლოში, სამედიცინო გამოკვლევებზე) ხდება არასათანადო პირობებში.

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში რთულია სანიტარულ–ჰიგიენური პირობების სათანადოდ დაცვა; მათ შორის, ქალი პატიმრებისათვის ჰიგიენური საფენებით უზრუნველყოფა. ამ მხრივ დადებითად უნდა აღინიშნოს, ის ფაქტი, რომ მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, დაიწყო ქალი პატიმრებისათვის ჰიგიენური საფენებით უზრუნველყოფა. პრობლემებია სამედიცინო მომსახურეობის დროულად მიწოდებასა და მედიკამენტების ხელმისაწვდომობის მხრივ, არ ფუნქციონირებს აფთიაქი. დაწესებულებაში არ არის უზრუნველყოფილი ხანგრძლივი პაემანისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. აგრეთვე დაწესებულებაში არ არის შემუშავებული და დანერგილი ლბტ პატიმრებთან მოპყრობის სახელმძღვანელო პრინციპები.

4.1.2 ვიზიტი N2 პენიტენციურ დაწესებულებაში

საქართველოს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა 2015 წლის 1-2 ივლისს N2 პენიტენციურ დაწესებულებაში მონიტორინგი განახორციელა. ვიზიტის მიმდინარეობის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან მონიტორინგისთვის ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია. N2 დაწესებულების თანამშრომლების მიერ წარმოდგენილი იყო მათ ხელთ არსებული და ჯგუფის მიერ მოთხოვნილი, ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

N2 პენიტენციური დაწესებულება წარმოადგენს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის

დაწესებულებას. დაწესებულება განკუთვნილია 1840 პატიმარის განთავსებისთვის. ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა 1508 პატიმარი (278 ბრალდებული და 1230 მსჯავრდებული), მათ შორის, 13 ქალი და 8 არასრულწლოვანი პატიმარი. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ ფიზიკური ძალადობის ან სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტების შესახებ ინფორმაცია არ მიუღიათ. მიუხედავად ამისა, არაერთი პრობლემა გამოიკვეთა არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით. ამ მხრივ ხაზგასასმელია არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების სამედიცინო პერსონალის მიერ გამოვლენისა და სრულყოფილი დოკუმენტირების ხარვეზები.

უსაფრთხოების თვალსაზრისით პრობლემას წარმოადგენს N2 დაწესებულებაში ვიზუალური მეთვალყურეობის გამოყენების პრაქტიკა. აღნიშნული ღონისძიების გამოყენების შესახებ მიღებული ბრძანება არ არის დასაბუთებული და მიზნის პროპორციული. საკნებში არსებული პირობები ზოგადად დამაკმაყოფილებელია. თუმცა პრობლემას წარმოადგენს 8-10 კაციანი საკნების სათანადო განათება. დაწესებულების სავენტილაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს ხარისხიან ხელოვნურ ვენტილაციას. ზოგიერთი საკანი ნესტიანია. საკარანტინო განყოფილებაში კი არასათანადო პირობები და ანტისანიტარიაა. დაწესებულებაში ყველა პატიმარი არ არის უზრუნველყოფილი 4 კვადრატული მეტრის ფართით. აღსანიშნავია, რომ სამარტოო საკნებში არსებულ სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს D კორპუსში არსებული სამარტოო საკნები, სადაც პირობები ზოგადად დამაკმაყოფილებელია, თუმცა მიუხედავად ამისა, ეს საკნები იშვიათად გამოიყენება.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ 2014 წლის შემდეგ გაიზარდა დაწესებულებაში ექთნების რაოდენობა, თუმცა აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, შემცირდა ექიმების რაოდენობა. ქალი პატიმრები სრულად ვერ სარგებლობენ გენდერულად სპეციფიკური სამედიცინო მომსახურებით. მწვავე პრობლემას წარმოადგენს ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების დროული მიწოდება. მონიტორინგის განხორციელების დროს დაწესებულების მაღაზია პროდუქციით სათანადოდ არ მარაგდება.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში ჩატარდა პატიმართა გარკვეული რაოდენობის გამოკითხვა სარეაბილიტაციო აქტივობებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, დაწესებულებაში არ არის დანერგილი მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობები.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის მონაცემებთან შედარებით 2015 წელს გაზრდილია დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკა. ამ მხრივ პრობლემურია დისციპლინური სახდელების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპების არარსებობა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პრობლემას წარმოადგენს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის მეშვეობით, აგრეთვე პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ხშირ შემთხვევაში, პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა. დაწესებულებაში ვერ ხერხდება სატელეფონო ზარის განხორციელება კონფიდენციალურობის სრული დაცვით.

4.1.3 შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის სამმართველოებში განხორციელებული მონიტორინგი

ფოტო: http://www.timer.ge/?p=8646

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა შეამოწმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს 28 დროებითი მოთავსების იზოლატორი და 54 პოლიციის სამმართველო. მონიტორინგები განხორციელდა კახეთში, იმერეთში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელოსა და ზემო სვანეთში.

მონიტორინგის მიმდინარეობისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული ფიზიკური გარემო, გაესაუბრნენ იზოლატორის თანამშრომლებს და შეამოწმეს 2015 წელს დაკავებულ პირთა საქმეებში არსებული დოკუმენტაცია, მათ შორის, დაკავების, ასევე დროებითი მოთავსების იზოლატორში გარეგნული დათვალიერების ოქმები და სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის გამოძახების ბარათები. ჯგუფის წევრები ხელმძღვანელობდნენ წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით და

პენიტენციური დაწესებულებებიდან მოპოვებული მონაცემებით. შემოწმების შედეგად არაერთი საყურადღებო შემთხვევა იქნა დოკუმენტირებული, სადაც შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობას. ანალოგიურად პოლიციის სამმართველოებში ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ პასუხისმგებელ თანამშრომლებს და შეამოწმეს დაკავებულ პირთა აღრიცხვისა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულ პირთა გადაყვანის ჟურნალები. დაათვალიერეს სამმართველოების შენობები; შეამოწმეს, თუ რამდენად ხდება ოჯახის ინფორმირება დაკავების შემდგომ, რამდენად ხელმისაწვდომია ადვოკატი და ექიმი, გამოკითხეს პოლიციის თანამშრომლები საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცედურის შესახებ.

ამჟამად სპეციალური პრევენციული ჯგუფი ამუშავებს მონიტორინგის დროს მოპოვებულ დიდი მოცულობის მონაცემებს და განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშს უახლოეს მომავალში გააცნობს საზოგადოებას.

4.1.4 სენაკის სამხედრო ნაწილისა და ჰაუპტვახტის მონიტორინგი

ფოტო: http://bedegi.ge/

2015 წლის 6-7 აგვისტოს პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის და თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ პირველად, ერთობლივად განხორციელდა სენაკის სამხედრო ნაწილისა და სენაკის ჰაუპტვახტის მონიტორინგი. თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი 2015 წელს შეიქმნა და მის ფუნქციას თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ზედამხედველობა წარმოადგენს. ამ დეპარტამენტის შექმნა შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის აუცილებლობამ განაპირობა. ერთობლივი მონიტორინგი დაეხმარება ორივე დეპარტამენტს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, სრულყოფილად შეაფასონ შეარაღებულ ძალებში წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის პრევენციის და სხვა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა.

4.1.4 ანგარიში N7 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ

საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2015 წლის 19 ივნისს N7 პენიტენციურ დაწესებულების მონიტორინგი განხორციელდა. ანგარიშის მომზადებისას სხვა მასალასთან ერთად გამოყენებული იქნა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ვიზიტში მონაწილე ექსპერტების ტექნიკური ანგარიშები. ვიზიტის დროს მოპოვებული დოკუმენტაცია, ასევე მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ანგარიშები ინახება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში.

ანგარიში შეიცავს მონიტორინგის ჯგუფის ძირითად მიგნებებს და შედგენილია იმგვარად, რომ ინტერვიუს კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, არ მოხდეს რესპონდენტ პატიმართა იდენტიფიკაცია. ვიზიტის მიმდინარეობის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან მონიტორინგისთვის ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია, თუმცა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს არ მისცეს საშუალება გაცნობოდნენ მეთვალყურეობის დაწესების შესახებ დირექტორის ბრძანებებზე თანდართულ უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობებს. აგრეთვე დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა არ გასცეს ინფორმაცია უსაფრთხოების ღონისძიების კუთხით 5 მსჯავრდებულის განცალკევების მიზეზების შესახებ, მისი საიდუმლოდ მიჩნევიდან გამომდინარე. ამდენად, ჯგუფის წევრებმა ვერ შეძლეს შეეფასებინათ, რამდენად დასაბუთებული და პროპორციული იყო აღნიშნული ღონისძიებების გამოყენება.

N7 პენიტენციურ დაწესებულებაში არის 27 საკანი. აქედან 14 საკანი ორადგილიანია, 5 საკანი განკუთვნილია 4 პატიმრისთვის, ხოლო დანარჩენი 8 საკანი რვა-რვა პატიმარზე. ორადგილიან N3 და N6 საკნებში მონიტორინგის განხორციელების დროს არ იყვნენ განთავსებული პატიმრები, რადგან საკნები იყო სარემონტო. ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა 75 პატიმარი, მათ შორის, 5 ბრალდებული და 70 მსჯავრდებული, აქედან 4

მსჯავრდებული ირიცხებოდა სამეურნეო ნაწილში. 2015 წლის 19 ივნისის მდგომარეობით, 2013 წლის დეკემბერის[6] მდგომარეობასთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა პატიმართა საერთო რაოდენობა.

2013 წელს განხორციელებული ვიზიტისას გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევების შემდგომ, სახალხო დამცველის მიერ გაცემულ იქნა არაერთი რეკომენდაცია, N7 დაწესებულებაში არსებული მძიმე ვითარებიდან გამომდინარე დაწესებულების დახურვასთან დაკავშირებით. წინამდებარე ვიზიტის შედეგად კი გაირკვა, რომ დაწესებულებაში წინა ვიზიტთან შედარებით ვითარება არა თუ არ გამოსწორდა, არამედ გაუარესდა კიდეც, ვინაიდან ერთი მესამედით (25 პატიმრით) გაიზარდა პატიმართა რაოდენობა და შესაბამისად დაწესებულების გადატვირთულობა. ამდენად, უცვლელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია დაწესებულების დახურვასთან დაკავშირებით. ამავდროულად, ანგარიშის ძირითადი მიზანია, ამჟამად დაწესებულებაში არსებული მდგომარეობის დოკუმენტირება და დაწესებულების დახურვამდე, დროებითი ღონისძიების სახით, პატიმართა მძიმე მდგომარეობის გარკვეულწილად შესამსუბუქებლად იმ კონკრეტული ზომების შეთავაზება, რომელთა დაუყოვნებლივ მიღება სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს აუცილებლად მიაჩნია.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს პატიმრების მიმართ ფიზიკური ძალადობის ან სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტების შესახებ ინფორმაცია არ მიუღიათ, თუმცა დაწესებულებაში არსებული მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, უსაფრთხოების ღონისძიებების გადაჭარბებული გამოყენების პრაქტიკა, სარეაბილიტაციო აქტივობების არარსებობა, ოჯახის წევრებთან და ზოგადად გარე სამყაროსთან საკმარისი კონტაქტის არარსებობა და ამ ანგარიშში მოცემული სხვა გარემოებები შეუძლებელს ხდის პატიმრების მიერ სასჯელის მოხდას მათი ღირსების პატივისცემის პირობებში. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ყოველივე აღნიშნული კი საფრთხეს უქმნის დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას და ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ფიზიკური ძალადობის რისკიც იმატებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური

[6] 2013 წლის დეკემბერში N7 დაწესებულებაში იმყოფებოდა 50 პატიმარი.

პრევენციული ჯგუფის ვიზიტის შემდგომ, ივლისში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიიღო შეტყობინება N7 დაწესებულებაში განთავსებული დ.კ.-ს და ბ.კ.-ს მიმართ N7 დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ფიზიკური ძალადობის სავარაუდო ფაქტის შესახებ. საქართველოს სახალხო დამცველის 30 ივლისის წინადადების შესაბამისად, აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს მთავარ პროკურატურაში.

დაწესებულებაში არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების შესახებ დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებების დაუსაბუთებულობა, უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების მომეტებული პრაქტიკა და პატიმართა ჯამრთელობისა და სხვა გვერდითი ეფექტების გაუთვალისწინებლობა.

უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს დაწესებულების ფიზიკური გარემო და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. ძირითად საცხოვრებელ საკნებში არსებული ფართი უმეტეს შემთხვევაში არ შეესაბამება პატიმრობის კოდექსის მოთხოვნებს. დაწესებულების სავენტილაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს სუფთა ჰაერის საკმარის მოძრაობას. საკნებში არ არის ბუნებრივი განათება, საპირფარეშოები მცირე ზომისაა, მცირეა სასეირნო ფართი.

ხარვეზები იკვეთება დროული და უწყვეტი სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით. არ ხდება სამედიცინო პერსონალის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოება. პრობლემურია სტომატოლოგიური მომსახურება და მოძველებულია სტომატოლოგიური ინვენტარი. კვლავ დიდ გამოწვევად რჩება ფსიქიკური ჯანმრთელობა და სათანადო ფსიქიატრიული დახმარების აღმოჩენა. ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზები მედიკამენტების აღრიცხვის, შენახვასა და მიწოდების კონტროლთან დაკავშირებით. საკვების მომზადებისას არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა საჭიროებები.

დაწესებულებაში არ ხორციელდება ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო აქტივობები. ამგვარ აქტივობათა განსახორციელებლად არ არსებობს სათანადო რესურსი. საგულისხმოა, რომ მაღალია დისციპლინური სახდელების

გამოყენების მაჩვენებელი, რის გამოც N7 დაწესებულებაში ყველა პატიმარი ვერ სარგებლობს მისთვის კანონით მინიჭებული ხანმოკლე პაემანის უფლებით. დაწესებულებაში არ არის ხანგრძლივი პაემანისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ვერ ხერხდება სატელეფონო ზარის განხორციელება საკმარისი რაოდენობითა და კონფიდენციალურობის დაცვით.

4.2 დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

- 2015 წლის 31 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის ინიციატივით შეხვედრა გაიმართა საქართველოს მთავარ პროკურორთან გიორგი ბადაშვილთან, რომელსაც სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე და მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე ირაკლი შოთაძე ესწრებოდნენ. შეხვედრის მიზანი იყო იმ რამდენიმე საკითხის განხილვა, რომელიც სახალხო დამცველის შეფასებით, მნიშვნელოვანია წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. სახალხო დამცველმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მისი რწმუნებულის ან სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრისათვის დახურულ დაწესებულებებში მოთავსებული პირების მიერ, თუნდაც არასწორი, ან ცრუ ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, სისხლის სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობის დაუშვებლობაზე. სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების ეფექტურად გამოძიების აუცილებლობას. სახალხო დამცველი დაინტერესდა მიმდინარე წლის თებერვალში მთავარ პროკურატურაში შექმნილი ახალი დეპარტამენტის მუშაობით, რომელიც სხვა საქმეებთან ერთად წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებს შეისწავლის. სახალხო დამცველმა იმედი გამოთქვა, რომ ამ დეპარტამენტის მუშაობა გამჭვირვალე იქნება და ჩატარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას პროაქტიულად მიეწოდება.

- 2015 წლის 3 აგვისტოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი კახა კახიშვილი საქართველოს სახალხო დამცველს ეწვია.

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

შეხვედრაზე, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ სახალხო დამცველის მოადგილეები პაატა ბელთაძე და ნათია კაციტაძე, პენიტენციურ სისტემაში არსებული პრობლემები განიხილეს. შეხვედრაზე ისაუბრეს პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე; განიხილეს, არასათანადო მოპყრობის ფაქტები, მე–7 დაწესებულებაში არსებული პირობები, ვიდეოჩანაწერების ხელმისაწვდომობა და სხვა აქტუალური თემები. უნდა აღინიშნოს, რომ კახა კახიშვილმა მინისტრის რანგში თავისი პირველი ოფიციალური შეხვედრა სახალხო დამცველთან გამართა, რაც სამინისტროს მხრიდან აქტიური და მჭიდრო თანამშრომლობის სურვილს წარმოაჩენს, ხოლო სახალხო დამცველს მისი რეკომენდაციების შესრულების ხარისხის გაზრდის იმედს აძლევს. შეხვედრის დასასრულს მხარეები მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად, რეგულარულ სამუშაო შეხვედრებზე შეთანხმდნენ.

4.3 ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა

- 2015 წლის 2-5 ივნისს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ხელმძღვანელი ნიკა კვარაცხელია ქალაქ ჟენევაში წამების პრევენციის ასოციაციის (APT) მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმს დაესწრო, რომელიც თავისუფლება აღკვეთილი/შეზღუდული ლგბტ პირების უფლებების დაცვას ეძღვნებოდა.

ფოტო: http://www.apt.ch/

აგრეთვე, აღნიშნული ვიზიტის მიმდინარეობისას, წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ინიციატივის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღო წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მოკლე ვიდეო რგოლის ჩაწერაში.

- 2015 წლის 16 -19 ივლისს ქალაქ რიგაში გაიმართა პრევენციის ეროვნული მექანიზმების სამუშაო შეხვედრა და ტრეინინგი. შეხვედრაში მონაწილეობდნენ პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნიკა კვარაცხელია და ამავე დეპარტამენტის მკვლევარ-ანალიტიკოსი აკაკი კუხალეიშვილი.

ტრენინგის პროგრამა გათვლილი იყო სახალხო დამცველის ინსტიტუტში ინტეგრირებული პრევენციის ეროვნული მექანიზმებისათვის. სამდღიანი ტრეინინგი ლატვიის ომბუდსმენის მხარდაჭერით გაიმართა. წამების პრევენციის ასოციაციასთან თანამშრომლობით საერთაშორისო ომბუდსმენის ინსტიტუტმა შეიმუშავა ტრენინგის ფორმატი, რომელიც ფოკუსირებული იყო პრევენციული მანდატის განხორციელებაზე. შეხვედრაში მონაწილებდა სახალხო დამცველის ოფისების 31 წარმომადგენელი, მათ შორის სხვადასხვა ქვეყნის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 22 ხელმძღვანელი პირი. ტრენინგს უძღვებოდნენ წამების პრევენციის ასოციაციის გამოცდილი ექსპერტები, რომლებიც არამხოლოდ თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ მონაწილეებს, არამედ ხელს უწყობდნენ მონაწილეებს შორის ინფორმაციის გაცვლას. ტრეინინგის დროს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებს, სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად, თავიანთი მუშაობის სპეციფიკის წარმოჩენის შესაძლებლობა მიეცათ.

- 2015 წლის 21–24 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები სასწავლო ვიზიტით სერბეთის რესპუბლიკის სახალხო დამცველის ოფისს ეწვივნენ. ვიზიტში მონაწილეობდნენ სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე, თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსი თამარ გაბიანი, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ნიკა კვარაცხელია და პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ლევან ბეგიაშვილი, ასევე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე ხუციშვილი.

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

ვიზიტი ორგანიზებული იყო შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ცენტრის (DCAF) და სერბეთის რესპუბლიკის სახალხო დამცველის ოფისის მიერ. ვიზიტი მიზნად ისახავდა სერბეთის რესპუბლიკის სახალხო დამცველის ოფისის გამოცდილების შესწავლას, როგორც სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით, ასევე უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგის და პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობის სპეციფიკასთან მიმართებით. შეხვედრები გაიმართა სერბეთის სახალხო დამცველთან - საშა იანკოვიჩთან და მის მოადგილესთან, მილოშ იანკოვიჩთან, რომელიც ამავე დროს სერბეთის რესპუბლიკის პრევენციის ეროვნულ მექანიზმს ხელმძღვანელობს, ასევე სახალხო დამცველის მრჩევლებთან, რომლებიც სამხედრო და სამოქალაქო უსაფრთხოების სამსახურების დემოკრატიულ და სამოქალაქო კონტროლს ახორციელებენ. შეხვედრებზე დეტალურად განიხილეს ისეთი თემები, როგორიცაა მონიტორინგის წარმოება სხვადასხვა ტიპის დახურულ დაწესებულებებში, წამების პრევენცია, თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების საქმიანობის კონტროლი,

უსაფრთხოების სექტორი, სამოქალაქო და სამხედრო დაზვერვის მონიტორინგი.

თავის მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებმა სერბეთის სახალხო დამცველს მიაწოდეს ინფორმაცია მათი დეპარტამენტების მუშაობის სპეციფიკის შესახებ. დისკუსიის დროს გამოიკვეთა მთელი რიგი საკითხები და გამოწვევები, რომლებიც აქტუალურია როგორც საქართველოს, ასევე სერბეთის რესპუბლიკის სახალხო დამცველის აპარატის მუშაობისათვის.

4.3 სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება

4.3.1 სამუშაო შეხვედრა: ქალთა პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგის სახელმძღვანელოს შემდგომი დახვეწა

ფოტო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია

9-10 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას გენდერული თანასწორობის, პრევენციული ეროვნული მექანიზმისა და სახალხო დამცველის ოფისის სხვა დეპარტამენტების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრის მიზანს ქალთა პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგის ინსტრუმენტის დახვეწა წარმოადგენდა. შეხვედრა განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ინოვაციური მოქმედებები გენდერული თანასწორობისთვის“ (IAGE) ტექნიკური მხარდაჭერითა და ევროკავშირის დაფინანსებით. შეხვედრის მონაწილეები ხუთ ჯგუფად მუშაობდნენ მონიტორინგის ინსტრუმენტის სხვადასხვა ნაწილზე და დასკვნით ნაწილში წარმოდგენილ იქნა მონიტორინგის განახლებული ინსტრუმენტი.

5. ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესახებ

5.1 ქუთაისის N2 პენიტენციური დაწესებულების მიმოხილვა

ფოტო: http://www.frontnews.ge/

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის N2 დაწესებულება მდებარეობს ქუთაისში, ხარებავას ქ. № 85. იგი წარმოადგენს პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას, გათვლილია როგორც ბრალდებულთა, ასევე მსჯავრდებულთათვის. ამჟამად დაწესებულებაში განთავსების ლიმიტი 1840 პატიმარს შეადგენს. ქუთაისის N2 დაწესებულება დაარსდა 2005 წლის 24 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრის №2149 ბრძანებით, როგორც №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება.

სახალხო დამცველი წლების განმავლობაში ატარებდა მონიტორინგს ქუთაისის N2 დაწესებულებაში. ამ დროის განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა ვითარება დაწესებულებაში. 2005 წლის 20 დეკემბერს ქუთაისის ახალ საპყრობილეში პატიმართა გადაყვანას მოულოდნელი ამბოხი მოჰყვა. პატიმრებმა ცუდი საყოფაცხოვრებო პირობების მიზეზით ხანძარი გააჩინეს. ვითარების გასაკონტროლებლად საპყრობილეში სპეცოპერაცია ჩატარდა, რომლის დროსაც სამმა სამართალდამცველმა და ასზე მეტმა პატიმარმა, სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღეს.

2006 წელს პატიმართა ცემა-წამებასა და ღირსების შემლახავი მოპყრობის კუთხით განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა იყო; პატიმრებისა და ადვოკატების, გამომძიებლებისა და სახალხო დამცველთან შეხვედრის ოთახებში დაყენებული იყო ვიდეოკამერები.

2007 წლისათვის ქუთაისის N2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ საპყრობილეში მწყობრიდან იყო გამოსული წყალგაყვანილობის

სისტემა. საკნების ნაწილში ჟონავდა წყალი, რაც ნათლად შეინიშნება საკნებისა და დერეფნების დათვალიერების დროს.

2008 წელს განხორციელებული მონიტორინგის დროს დაწესებულებაში იყო ანტისანიტარია და არ ტარდებოდა დეზინფექცია; 1300 პატიმარი, მათ შორის, მსჯავრდებულები და განსასჯელები, საერთო და საპყრობილის რეჟიმზე მყოფი პატიმრები ერთად იყვნენ განთავსებული. საპყრობილეს არ ჰქონდა ცენტრალური ვენტილაცია, ხოლო ფანჯრებიდან საკნები ცუდად ნიავდებოდა. საკნებში იყო ნესტი და ჭერიდან ჩამოდიოდა წყალი. ზოგიერთ საკანში იყო მბჟუტავი ნათურები. რადიო და დიდი ზომის ნათურა ჰქონდათ მხოლოდ ძალოვანი სტრუქტურების ყოფილ თანამშრომლებს და სამეურნეო ნაწილში მომსახურე პატიმრებს. წყალი პატიმრებს მიეწოდებოდათ გრაფიკით, დღეში ორ საათით. პატიმრები წყალს პოლიეთილენის ბოთლებში აგროვებენ და საკნებში განთავსებულ საპირფარეშოში ბანაობდნენ. სამზარეულოში იდგა აუტანელი სუნი, არ ხდებოდა დასუფთავება საკვების მომზადების შემდეგ. ყველგან იყო სიბინძურე.

2009 წლის მდგომარეობით N2 დაწესებულებაში მოთავსებული იყო 776 პატიმარი, აქედან 29 ქალი და 19 არასრულწლოვანი, რომლებიც მოთავსებული იყვნენ სრულწლოვან მსჯავრდებულებთან ერთად. სამზარეულოში მიმდინარეობდა რემონტი და მოქმედებდა სამზარეულოს ნახევარი, სადაც მზადდებოდა საკვები. არასრულწლოვანი დაწესებულების ადმინისტრაცია პატიმრებს დასჯის მიზნით ხანგრძლივი დროით ათავსებდა ე.წ. სასამართლოზე გამსვლელ პირთა მოსათავსებელ ოთახებში, რომელიც იყო 1 კვ.მ ფართის და სადაც მხოლოდ ერთი გრძელი ხის სკამი იდგა.

2010 წლისათვის არასრულწლოვნებისთვის გამოყოფილი იყო სამი საკანი. საკნები თბებოდა ცენტრალური გათბობის საშუალებით. განათება და ვენტილაცია საკმარისი იყო. არასრული იყო, ექიმთა მიერ წარმოებული სამედიცინო ჩანაწერები და შესაბამისად შეუძლებელი ხდებოდა პაციენტის ზოგადი მდგომარეობის სრულყოფილი შეფასება.

2011 წლის ზაფხულიდან, მას შემდეგ, რაც ქუთაისის N2 დაწესებულებაში შეიცვალა ხელმძღვანელობა, საგრძნობლად გაუარესდა მდგომარეობა მოპყრობის მხრივ, რაც 2009 წლის შემოდგომიდან 2011 წლის ზაფხულამდე შედარებით გაუმჯობესებული იყო. 2011 წლის ზაფხულიდან კი ქუთაისის N2 დაწესებულების მდგომარეობა გადამეტებული მკაცრი სარეჟიმო მოთხოვნების მხრივ გაუთანაბრდა N8 დაწესებულებისას, რაზეც სახალხო დამცველმა ასევე გაამახვილა ყურადღება საკუთარ ანგარიშებში. რიგ შემთხვევებში, ქუთაისის N2 დაწესებულებაში პატიმართა მიმართ მოპყრობა კიდევ უფრო უარესი იყო, ვიდრე N8 დაწესებულებაში. მაგ: დასჯის მიზნით საკარანტინო საკანში მყოფ პატიმრებს თავზე ხელებდაწყობილ და მუხლებზე დამდგარ მდგომარეობაში ამყოფებდნენ სხვადასხვა ვადით, საკარანტინო საკნის იატაკზე უსხამდნენ ქლორიან წყალს, რომ პატიმრისთვის ბეტონის იატაკზე წამოწოლის საშუალებაც მოესპოთ.

საგრძნობლად გაუმჯობესებულია ვითარება ქუთაისის N2 დაწესებულებაში 2014-2015 წლებში. განხორციელებული ვიზიტის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ ფიზიკური ძალადობის ან სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტების შესახებ ინფორმაცია არ მიუღია. საკნებში არსებული პირობები ზოგადად დამაკმაყოფილებელია. მიუხედავად ამისა, დღემდე დაწესებულებაში ყველა პატიმარი არ არის უზრუნველყოფილი 4 კვადრატული მეტრის ფართით. საკარანტინო განყოფილებაში არსებული არასათანადო პირობები და ანტისანიტარიაა. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დაწესებულებაში გაზრდილია ექთნების რაოდენობა, თუმცა, წინა წელთან შედარებით, შემცირდა ექიმების რაოდენობა. დადებითად აღსანიშნავია ის, რომ დაწესებულებაში ჩატარდა პატიმართა გამოკითხვა სარეაბილიტაციო აქტივობებთან დაკავშირებით, მაგრამ არ ტარდება მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობები; ხანმოკლე პაემნები კვლავ მინის გამყოფი ბარიერის მეშვეობით ხორციელდება. არ ხდება ზარის კონფიდენციალურობის დაცვა.

6. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა

6.1 რეკომენდაციების შესრულების დინამიკის მიმოხილვა

წინამდებარე ქვეთავი ეძღვნება პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2014-2015 წლებში N17, N2, N3, N8, N14 დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარიშებში ასახული ძირითადი რეკომენდაციების შესრულების ანალიზს. სახალხო დამცველი/სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიესალმება რეკომენდაციების

ადრესატების მზაობას, გადადგან პრაქტიკული ნაბიჯები ანგარიშში ასახულ მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ რეკომენდაცია/წინადადებათა დიდი ნაწილი არ არის გაზიარებული ან შესაბამისი უწყებების პოზიციები უცნობია, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს. წარმოდგენილი დაწესებულებების სრული რეკომენდაციები შეგიძლიათ იხილოთ აღნიშნული დაწესებულებების ვიზიტის შემდგომ ანგარიშებში.

წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა

წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენცია წარმოადგენს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას. აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია, არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციის მიზნით უზრუნველყოს ობიექტური შიდა მონიტორინგის განხორციელება, აგრეთვე გაატაროს მკაცრი ზომები იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც არაჯეროვნად ასრულებენ საკუთარ უფლებამოსილებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაცია და მისი შესრულებისკენ გარკვეული ნაბიჯებიც გადადგა.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N55 ბრძანებით განისაზღვრა გენერალური ინსპექციის უფლებამოსილება, განახორციელოს სისტემური მონიტორინგი და გამოაქვეყნოს ყოველწლიური ანგარიში.[7], სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პროაქტიული მონიტორინგის აუცილებლობას და აღნიშნული რეკომენდაციის პრაქტიკული შესრულების მონიტორინგს განაგრძობს.

წამების პრევენციის სხვა მნიშვნელოვან ელემენტს წამებისა და არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების სათანადო დოკუმენტირება წარმოადგენს. სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიმართ გასცა რეკომენდაცია, მიღებულ იქნას ყველა გონივრული ზომა, მათ შორის, შესაბამისი სწავლებისა და ინსტრუქციის მიცემის გზით, რათა სამედიცინო პერსონალმა მოახდინოს პატიმართა სხეულზე არსებული დაზიანებების სათანადო დოკუმენტირება. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს მხრიდან გაცემული დაპირების[8] მიუხედავად, რომელიც გულისხმობს სხეულზე არსებული დაზიანებების აღრიცხვის ახალი ფორმის შემუშავებას, ამ მიმართულებით კონკრეტული პრაქტიკული ნაბიჯები ჯერჯერობით არ გადადგმულა.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით აუცილებელია დაწესებულებაში დამონტაჟებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერების გონივრული ვადით შენახვა. სახალხო დამცველის მიერ გაიცა რეკომენდაცია, რათა შესაბამისი ბრძანებით განისაზღვროს აღნიშნული ჩანაწერების შენახვის გონივრული ვადა და უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების დაშვება ასეთ ჩანაწერებზე. კონკრეტულად კი პრობლემას წარმოადგენს ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების 24 საათიანი ვადა. როგორც პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, აღნიშნული ჩანაწერები უნდა ინახებოდეს, სულ მცირე, 10 დღით.

უსაფრთხოება

დაწესებულებებში უსაფრთხოების კუთხით არსებულ ვითარება უშუალო კავშირშია, პატიმართათვის ღირსეული პირობების უზრუნველყოფასთან. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ უსაფრთოხების კუთხით მიღებული გადაწყვეტილებები იყოს დასაბუთებული, გამოიყენებოდეს პროპორციულობის პრინციპის დაცვით, ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. სახალხო დამცველი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას და მიუთითებს, რომ სათანადო დასაბუთების გარეშე აღნიშნული ღონისძიების გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს პატიმრის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია არ არის შესრულებული.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, აგრეთვე, მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობს დინამიკური უსაფრთოხების კონცეფციის პრაქტიკაში დანერგვას.

[7] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №55 2015 წლის 25 ივნისი ქ. თბილისი

[8] 2015 წლის 22 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული N7196/15 წერილი

პოზიტიურად უნდა შეფასდეს მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის ახალი სისტემის შემოღება. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინსიტროდან მიღებული პასუხის შესაბამისად, დაწესებულებების დებულებების შემუშავებისას დინამიკურ უსაფრთოხებას ცალკე რეგულაციები დაეთმობა.[9] სახალხო დამცველი აქტიურად დააკვირდება ამ პროცესის სრულყოფილად განხორციელებას.

პატიმრობის პირობები

პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით არსებული რამდენიმე რეკომენდაციიდან გაზიარებულია და გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია N3 დაწესებულებაში სათანადო ვენტილაციის პრობლემის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად N3 დაწესებულებაში დამონტაჟდა კონდიციონერები. ამ N2, N17 და N8 დაწესებულებებში. რეკომენდაცია გაზიარებულია, მაგრამ არ გაუმჯობესებულა სპორტული აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო პირობები N2, N3, N8 დაწესებულებებში. არ განახლებულა N3 დაწესებულების ბიბლიოთეკა. N2, N3, N17, N8, N14 დაწესებულებებში კვლავ პრობლემას წარმოადგენს თარჯიმნის უზრუნველყოფა. ნაბიჯები არ არის გადადგმული ყველა პატიმრის სუფთა ჰაერზე დღის განმავლობაში ერთ საათზე მეტი ხნით ყოფნასთან დაკავშირებით.

სამედიცინო მომსახურება

სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით არცერთ ზემოთ ნახსენებ დაწესებულებაში რეკომენდაციები არ არის გაზიარებული და არ გამოსწორებულა სამედიცინო დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოებისა და სამედიცინო მომსახურეობის უწყვეტობის ხარვეზები. რეკომენდაცია არ არის გაზიარებული და პრობლემა უარყოფილია დაწესებულებების მედიკამენტებით დროულ მომარაგებასთან დაკავშირებით. ნაბიჯები არ არის გადადგმული პატიმრებისათვის ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების დროულ მიწოდებასთან მიმართებაში.

კვება

არ არის გაზიარებული საკვების მომზადებისას სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთათვის სპეციალური საჭიროებების გათვალისწინების შესახებ რეკომენდაცია. სახალხო დამცველი მიესალმება ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ახალი №88-№01-34/ნ ბრძანების მიღებას[10]. სპეციალური პრევენციული ჯგუფი აქტიურად დააკვირდება აღნიშნული ბრძანების პრაქტიკაში განხორციელებას.

სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია დაწესებულებების მაღაზიების პროდუქციით სათანადო მომარაგებასთან დაკავშრებით. აღსანიშნავია, ამ მიმართულებით პრობლემები დაფიქსირდა ყველა ზემოთ განხილულ დაწესებულებაში. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ სანქცია დააკისრა მაღაზიის მომმარაგებელ კომპანიას და ხელშეკრულება გააფორმა სხვა კომპანიასთან. სახალხო დამცველი იმედს იტოვებს, რომ უმოკლეს ვადებში აღმოიფხვრება მაღაზიის მომარაგების პრობლემა.

რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება

სახალხო დამცველის მიერ გაცემულ იქნა ზოგადი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც დისციპლინარული სახდელის დაკისრებისას დაწესებულების ხელმძღვანელობამ უნდა იხელმძღვანელოს პროპორციულობის პრინციპით და სამარტოო საკანში მოთავსება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოიყენოს. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ვითარება არ შეცვლილა და არ მომხდარა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა რეკომენდაციის შესასრულებლად. დაწესებულებებში კვლავაც ფიქსირდება დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსების მომეტებული, მზარდი პრაქტიკა.

კონტაქტი გარე სამყაროსთან

არცერთ განხილულ დაწესებულებებში არ არის უზრუნველყოფილი ხანმოკლე პაემნის განხორციელების უფლება გამყოფი მინის ბარიერის გარეშე. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გაზიარებულია, არ არის პრაქტიკული ნაბიჯები გადადგმული ამ მიმართულებით.

აგრეთვე, პრობლემას წარმოადგენს დაწესებულებაში პატიმრების მოთავსებისას პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი

[9] 2015 წლის 5 მარტის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული N2583/15 წერილი

[10] მიღებულია 2015 წლის 13 აგვისტოს

ადგილის გათვალისწინება და პაემანის უფლებით შეუფერხებელი სარგებლობის უზრუნველყოფა. აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა.

7. საკანონმდებლო მიმოხილვა

7.1 საკანონმდებლო წინადადებები და ცვლილებები კანონმდებლობაში

წინადადება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს 2011 წლის 30 მაისის N97 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2015 წლის 6 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2011 წლის 30 მაისის №97 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რათა ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება მინიჭებოდათ შეენახათ და გამოეყენებინათ არა მხოლოდ სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ასლები, არამედ, მათ მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები, დისციპლინური სამართალწარმოების მასალების ასლები, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების მასალები, ასევე, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2011 წლის 30 მაისის N97 ბრძანების თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებულ პატიმრებს არ ეძლეოდათ შესაძლებლობა, საკანში ჰქონდათ და შეენახათ საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ასევე, მათ მიმართ წარმოებული საქმის მასალები (გარდა სასამართლოს განაჩენის და გადაწყვეტილების ასლისა, შესანახად ჩაბარებული ფულის, ნივთებისა და ფასეულობების ქვითრისა), ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტები მიეკუთვნება აკრძალულ ნივთთა კატეგორიას და მათი საკანში შენახვა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №105 ბრძანებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა №97 ბრძანება. აგრეთვე სამინისტროს მიერ განხორციელდა პენიტეციალური დაწესებულებებისათვის ცალკეული დებულებების დამტკიცება. მიუხედავად აღნიშნული ცვლილებებისა, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში სახალხო დამცველის წინადადება არ იქნა გათვალისწინებული.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ დოკუმენტის საკანში ქონა საფრთხეს ვერ შეუქმნის წესრიგს და უსაფრთხოებას. მითუმეტეს, რომ მოცემული დოკუმენტების შენახვა, რომელიც მათი გაცნობის, საკუთარი პოზიციის და არგუმენტაციის ჩამოყალიბების გზით ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებების (მხარეთა თანასწორობის, სასამართლოსათვის მიმართვის, საჩივრის შეტანის, ლიტერატურის გაცნობის) რეალიზაციის და კანონიერი ინტერესების განხორციელების მიზანს ემსახურება.

7.2 საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა

7.2.1 წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის შესახებ საჩივრის წარდგენის გამო რეპრესიების და სანქციების დაკისრების დაუშვებლობა საერთაშორისო სამართალში

წამების წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-13 და მე-14 მუხლებით ნებისმიერი პირისათვის გარანტირებული სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ საჩივრის სწრაფად და მიუკერძოებლად განხილვის უფლება, მომჩივნისა და მოწმეთა ნებისმიერი ფორმის უხეში მოპყრობისაგან ან დაშინებისგან დაცვა და აგრეთვე, წამების მსხვერპლთათვის სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის უზრუნველყოფა.[11] რაც უფრო ძლიერი და ეფექტურია მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვის გარანტიები, მით უფრო ეფექტიანია წამების აბსოლუტური აკრძალვის პრაქტიკაში იმპლემენტაცია.

ყველა მოთხოვნა ან საჩივარი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხილული და პასუხგაცემული დაგვიანების გარეშე. თუ მოთხოვნა ან საჩივარი არ დაკმაყოფილდა ან უარყოფილ იქნა დაგვიანების გამო, მომჩივანს უნდა მიეცეს უფლება წარადგინოს საჩივარი სასამართლოში ან სხვა ორგანოში. დაკავებულს, დაპატიმრებულს ან სხვა რომელიმე მომჩივანს, წინამდებარე პრინციპების პირველი პუნქტის თანახმად, არ

[11] „კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“, რეზოლუცია მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ 1984 წლის 10 დეკემბერს, A/RES/39/46

უნდა მიადგეს რაიმე ზიანი განხორციელებული მოთხოვნის ან საჩივრის გამო.[12]

ევროპული ციხის წესების შესაბამისად, საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, აუცილებელია წარმოდგენილ იქნეს საფუძველი. აგრეთვე, პატიმარს უნდა ჰქონდეს უფლება მიმართოს სხვა დამოუკიდებელ ორგანოს.[13] არ უნდა მოხდეს პატიმართა დასჯა იმის გამო, რომ მათ საჩივარი შეიტანეს. [14]

საჩივრების წარდგენის და განხილვის ეფექტური პროცედურა წამების პრევენციის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვან ხერხემალს წარმოადგენს. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი თავის ანგარიშებში მუდმივად უსვამს ხაზს ასეთი პროცედურის მნიშვნელობას და საჩივრის წარდგენის უფლებით სარგებლობისათვის რეპრესიებისა და სანქციების დაუშვებლობას. კერძოდ, კომიტეტი აღნიშნავს, რომ „საჩივრების განხილვის ეფექტური მექანიზმი წარმოადგენს არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას და ამავდროულად, ის ზოგადად ხელს უწყობს ციხის სათანადო მართვას."[15]

კომიტეტი დამატებით აღნიშნავს, რომ ციხის თანამშრომლის მიმართ ცრუ, ყალბი საჩივრის წარდგენისთვის დისციპლინური სანქციაც კი, საჩივრის განხორციელების დამაბრკოლებელ მიდგომას წარმოადგენს, რადგან, ამან შეიძლება პატიმარს ხელი ააღებინოს საჩივრის წარდგენაზე.[16] თავისთავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ცალსახად მიუღებელია. გარდა იმისა, რომ საჩივრის წარდგენის გამო რეპრესიების და სანქციების დაწესების თავიდან აცილება აუცილებელია, საჩივრის წარდგენისა და განხილვის ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბებისათვის ეს საკმარისი არ არის.

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა ირლანდიასთან მიმართებით აღინიშნა, რომ უმრავლეს პატიმარს არ აქვს ნდობა საჩივრების სისტემის მიმართ და არ სურთ საჩივრით მიმართვა მაშინაც კი, როდესაც საუბარია არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე.[17] მნიშვნელოვანია, რომ პატიმრებს სწამდეთ საჩივრების სისტემის ეფექტურობის, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს აარიდებენ საჩივრის შეტანას, რაც დააზარალებს საჩივრების სისტემის მიზანს.[18]

ამრიგად, სახელმწიფოს ძალისხმევა, თავისი პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, მიზანმიმართული უნდა იყოს არასათანადო მოპყრობას დაქვემდებარებული პირების მიერ საჩივრის წარდგენის და განხილვის ეფექტური სისტემის ფუნქციონირებისაკენ. რა თქმა უნდა, საგამოძიებო ორგანოს საქმიანობისთვის განზრახ ხელის შეშლა, არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან/და უდანაშაულო პირის განზრახ ცრუდ დასმენა, უნდა იწვევდეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუმცა პენიტენციურ ან თავისუფლების შეზღუდვის სხვა დაწესებულებებში მოთავსებული პირების მიმართ უნდა მოქმედებდეს დამცავი გარანტიები. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თავისუფლება აღკვეთილი ან შეზღუდული პირები, საჩივრის წარდგენის გამო, შესაძლო რეპრესიებისგან და უზრუნველყოს მათი უსაფრთხოების გარანტიები.

ცრუ დასმენისაგან პირის დაცვა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, მაგრამ ეს მიზანი შეიძლება სხვა საშუალებებითაც იქნას მიღწეული. საყურადღებოა, რომ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ცრუ ბრალდებებისაგან დაცვის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას სათვალთვალო კამერების ჩანაწერები წარმოადგენს, სადაც ასეთი კამერები დამონტაჟებულია კანონის შესაბამისად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის გარეშე. ასეთი ჩანაწერები წარმოადგენს არსებითი მნიშვნელობის, გადამწყვეტ მტკიცებულებას.[19] აქვე აღსანიშნავია,

---

[12] გაეროს ნებისმიერი ფორმით დაკავებულთა ან პატიმრობაში მყოფ პირთა დაცვის პრინციპთა ერთობლიობა, პრინციპი 33

[13] ევროპული ციხის წესები, წესი 70.3

[14] იქვე

[15] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში 1997 წლის 8-17 სექტემბერს გაერთიანებულ სამეფოში და კუნძულ მენზე განხორციელებული ვიზიტის შესახებ, CPT/Inf (2000), პარ. 151, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/documents/gbr/2000-01-inf-eng.htm [ბოლოს ნანახია 17.07.2015]

[16] იქვე, პარ.

[17] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში 2006 წლის 2-13 ოქტომბერს ირლანდიაში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, CPT/Inf (2007) 40, პარ. 37, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/documents/irl/2007-40-inf-eng.htm [ბოლოს ნანახია 17.07.2015]

[18] იქვე.

[19] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მე-12 საერთო ანგარიშში (CPT/Inf (2002) 15) უთითებს, რომ ვიდეო და აუდიო ჩაწერის სისტემა იძლევა სრულ და ავთენტურ ჩანაწერებს, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს არასათანადო მოპყრობის გამოძიებას. ანგარიში ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-12.htm [ბოლოს ნანახია 17.07.2015]

რომ წამების პრევენციის ქვეკომიტეტის განმარტებით, წამების შესახებ საჩივრის განხილვისას მოპოვებულ უნდა იქნას ყველა საჭირო მტკიცებულება და მხოლოდ სხეულის დაზიანების არარსებობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას წამების ფაქტის გამომრიცხავ გარემოებად.[20]

ამავე ანგარიშში წამების პრევენციის ქვეკომიტეტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საჩივრების მცირე რაოდენობა არსებული კონტექსტის გათვალისწინებით არ იძლევა სანდო სურათს მექსიკაში წამებასთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ. ქვეკომიტეტის აზრით, საჩივრების რაოდენობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს საჩივრების სისტემის მიმართ ნდობის ნაკლებობა და ცრუ, ყალბი საჩივრის წარდგენისთვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობა, რაც ქვეკომიტეტისათვის სრულიად მიუღებელია.[21]

სახელმწიფოს მომეტებული ვალდებულება თავისუფლება აღკვეთილი ან შეზღუდული პირების მიმართ, გამომდინარეობს ამ კატეგორიის პირთა მაღალი რისკის შემცველი მდგომარეობიდან. კერძოდ, რამდენადაც სახელმწიფოს მიერ პირის თავისუფლება ლეგიტიმურად შეიზღუდა, თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებში ამ პირთა ფიზიკური დაცვა თავად სახელმწიფომ იკისრა. ამ პირობებში, სახელმწიფო პირს ანიჭებს პრივილეგირებულ მდგომარეობას, რათა მისი უფლებაშეზღუდული მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც ინდივიდს მოწყვლად მდგომარეობაში აყენებს, არ დაბრკოლდეს მისი სამართლებრივი ინტერესების დაცვა. დამატებითი დამცავი გარანტიების მინიჭება ამ კატეგორიის პირთათვის არის ერთგვარი დაბალანსება მასა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივი ურთიერთობის და მეორე მხრივ, გათანაბრების მცდელობა თავისუფლებაში მყოფი ინდივიდის სამართლებრივ მდგომარეობასთან.

ზემოაღნიშნული საერთაშორისოდ შეთანხმებული იდეის ლოგიკური გაგრძელებაა ის, რომ არასათანადო მოპყრობის პრევენციისა თუ შემდგომში გამოვლენის მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახალხო დამცველისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის გამართულ ფუნქციონირებას. საქართველოს სახალხო დამცველისთვის და მისი რწმუნებულებისთვის მიწოდებული ინფორმაციის გამო, პატიმრის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება და პასუხისმგებლობის დაკისრება კონცეპტუალურ საშიშროებას წარმოქმნის სრულიად ინსტიტუტის მიმართ და ამით ვერ აღსრულდება კონსტიტუციით გარანტირებული საზოგადოებრივი ნება – სახელმწიფომ იზრუნოს თავისუფლებაშეზღუდულ პირებზე. უფრო კონკრეტულად, მოცემული ფაქტი გამოიწვევს არასწორ და არსებითი საფრთხის შემცველ პრაქტიკას, წარმოქმნის არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის რეალურ საფრთხეს. აღნიშნული კი არა მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სრულ დისკრედიტაციას მოახდენს, არამედ თითქმის გამორიცხავს არასათანადო მოპყრობის აკრძალვის კუთხით სახელმწიფოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ეფექტიანობას.

7.3 საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ხასიათდება დაწესებულების ადმინისტრაციის განსაკუთრებული უფლებამოსილებებით, შეიცავს ძალიან დიდ რისკს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის თვალსაზრისით. აღნიშნული რისკის შემცირებისათვის აუცილებელია დაწესებულებაში შიდა და გარე ინსპექტირების მექანიზმის ფუნქციონირება, რომელიც ხელს შეუწყობს, როგორც ადმინისტრაციის ანგარიშვალდებულებას, აგრეთვე იქნება პატიმართა უფლებების დაცვის გარანტია. სახალხო დამცველის მიერ არაერთხელ გაიცა რეკომენდაცია, რათა არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციის მიზნით უზრუნველყოფილ იქნეს დაწესებულებებში ობიექტური შიდა მონიტორინგის განხორციელება.

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 55-ე წესის შესაბამისად, პენიტენციურ დაწესებულებებში და სამსახურებში უნდა ტარდებოდეს რეგულარული ინსპექტირება კვალიფიციური და გამოცდილი ინსპექტორების მიერ, რომლებსაც დანიშნავს კომპეტენტური ხელისუფლება. კერძოდ, ინსპექტორები ვალდებულნი არიან დარწმუნდნენ, რომ პატიმრობის ადგილების

[20] ანგარიში წამების პრევენციის ქვეკომიტეტის მიერ 2008 წლის 27 აგვისტოდან 12 სექტემბრამდე მექსიკაში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, პარ. 87, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CAT%2fOP%2fMEX%2f1&Lang=en [ბოლოს ნანახია 17.07.2015]

[21] იქვე, პარ. 88

მართვა ხორციელდება არსებული კანონებისა და განაწესების შესაბამისად და ციხის მუშაობა შეესაბამება პენიტენციურ დაწესებულებათა წინაშე დასმულ ამოცანებს,.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ 2015 წლის 1 ივლისიდან განხორციელდა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ლიკვიდაცია და მისი, როგორც სტრუქტურული ქვედანაყოფის, ინტეგრაცია სამინისტროში. აღნიშნულ ცვლილებას მოჰყვა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს გაუქმება, რომელიც ვერ ახორციელებდა ეფექტურ შიდა მონიტორინგს.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს გაუქმება და სისტემური მონიტორინგის ფუნქციის სამინისტროს გენერალური ინსპექციისთვის ცენტრალიზებულად გადაცემა სავარაუდოდ, დაეხმარება სამინისტროს აღნიშნული უწყების ცენტრალიზებულ მართვასა და მასზე უკეთესი ზედამხედველობის განხორციელებაში. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №55 ბრძანებით, სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში სტრუქტურული ერთეული, სისტემური მონიტორინგის სამმართველო ჩამოყალიბდა, რომლის მიზანია წინასწარი სისტემური მონიტორინგის დანერგვა და შესაბამისად პრობლემების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა. სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნულ ცვლილებებს და იმედს იტოვებს, რომ აღნიშნული სტანდარტის პრაქტიკაში ეფექტური იმპლემენტაცია მოხდება.

8. ფოკუსი

8.1 განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის აღსრულების თავისებურებანი

ყველა ქვეყანაში არსებობენ გარკვეული რაოდენობის პატიმრები, რომლებიც მიჩნეული არიან, როგორც განსაკუთრებული რისკის მატარებელნი. აღნიშნული პატიმრებისათვის მაღალი უსაფრთხოების რისკის კატეგორიის მინიჭება შეიძლება გამომდინარეობდეს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან ან საპატიმროში გამოვლენილი ქცევიდან.[22]

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 66[2] მუხლის შესაბამისად, „განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად თავსდება საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებული, რომელიც საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას ან გარშემო მყოფთ, აგრეთვე, საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცველი ორგანოების უსაფრთხოებას''.[23]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ N106 ბრძანების შესაბამისად, N3, N6 და N7 დაწესებულებებს განსაკუთრებული რისკის დაწესებულებების სტატუსი მიენიჭათ. შესაბამისად, აღნიშნულ დაწესებულებებში მნიშვნელოვანია, ისეთი უსაფრთოხების სისტემის შექმნა, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოების დაცვის ინტერესსა და პატიმრის პატივისა და ღირსების პატივისცემას შორის სამართლიანი ბალანსის დაცვას.

საშიშროების რისკის დონის მიხედვით, მსჯავრდებულთა კლასიფიცირება თავისთავად მოითხოვს მათთვის სპეციალური პატიმრობის პირობების შექმნას და მაღალი უსაფრთხოების რისკის კატეგორიის მინიჭება უნდა გამომდინარეობდეს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან ან საპატიმროში გამოვლენილი ქცევიდან.[24] იმ შემთხვევაში, თუ პატიმრების კლასიფიკაციის სისტემა მოქმედებს ეფექტურად, მითითებული კატეგორიის პატიმრები წარმოადგენენ საერთო პატიმრების ძალიან მცირე ნაწილს. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პატიმრების აღნიშნულ ჯგუფს და მოითხოვს განსაკუთრებული საგამონაკლისო ზომების მიღებას, რადგანაც ისინი სხვა პატიმრებთან შედარებით, წამებისა და არასათანადო მოპყრობის უფრო დიდი რისკის ქვეშ არიან.[25]

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 27-ე წესის შესაბამისად, „დისციპლინა და წესრიგი მკაცრად უნდა იყოს დაცული, თუმცა შემოღებულ უნდა იქნას მხოლოდ ის შეზღუდვები, რომლებიც აუცილებელია ზედამხედველობის საიმედოობის

---

[22] წამების, არაადამიანური დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტი (CPT), 11th ზოგადი ანგარიში, კომიტეტის აქტივობები 2000 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, პარაგრაფი 32, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-11.htm#_Toc523890679, [ბოლოს ნანახია 08.04.2015]

[23] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 66

[24] სქოლიო 22,

[25] იქვე

უზრუნველსაყოფად და დაწესებულებაში თანაცხოვრების სათანადო წესების დასაცავად"[26] განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში არსებული სპეციალური, მკაცრი რეჟიმის საკომპენსაციოდ, პატიმრებს უნდა ჰქონდეთ მათთვის საინტერესო აქტივობების არჩევის კარგი შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებული ძალისხმევა იყოს მიმართული ადმინისტრაციასა და პატიმრებს შორის პოზიტიური ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად. აღნიშნული უზრუნველყოფს არა მხოლოდ პატიმრების მიმართ ადამიანურ მოპყრობას, არამედ ეფექტურ კონტროლს და უსაფრთხოებას.

მაღალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დამაკმაყოფილებელი აქტივობების პროგრამის არსებობა ისეთივე და უფრო მეტად მნიშვნელოვანიც შეიძლება იყოს, ვიდრე ჩვეულებრივ ციხეებში.[27] შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს განათლების, პროფესიული მომზადების, სამუშაოს, დასვენების დროის გამოყოფა და აქტივობების იმ ოდენობით განხორციელება, რაც შესაძლებელია უსაფრთხოების ასპექტების გათვალისწინებით. აქტივობები უნდა იყოს მაქსიმალურად მრავალფეროვანი, რამდენადაც ეს შესაძლებელია. რაც შეეხება კონკრეტულ სამუშაოებს, უსაფრთოხებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შეიზღუდოს ზოგიერთი ისეთი სამუშაო, რომელიც მხოლოდ ჩვეულებრივ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში შეიძლება განხორციელდეს, თუმცა ეს არ უნდა ნიშნავდეს, რომ მხოლოდ რუტინული და მომაბეზრებელი სამუშაო იყოს შესაძლებელი.[28]

9. ექსპერტის მოსაზრება - პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს წევრი

გივი მიქანაძე

[26] გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების, წესი 27

[27] წამების, არაადამიანური დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტი (CPT), 11th ზოგადი ანგარიში, კომიტეტის აქტივობები 2000 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, პარაგრაფი 32, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-11.htm#_Toc523890679, [ბოლოს ნანახია 08.04.2015]

[28] იქვე

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტების მნიშვნელობა ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტში

წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი) ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო მექანიზმია, რომელიც ახდენს ადამიანის უფლებათა მონიტორინგს დაწესებულებებში, სადაც პირს აღკვეთილი აქვს თავისუფლება (პოლიციის დროებითი დაკავების განყოფილებები, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები, ფსიქიატრიული საავადმყოფოები და სხვ.).

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტს 25 წლიანი საქმიანობის შედეგად შემუშავდა სტანდარტები,[29] რომლითაც ხდება ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ზემოხსენებულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებების არსებული მდგომარეობის შეფასება და რომელსაც ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავისუფლების აღკვეთის ან შეზღუდვის პირობებში მყოფ პირებთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით საქმის განხილვისას (საქმე ვასილესკუ ბელგიის წინააღმდეგ,[30] საქმე ვაგრა და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ[31]).

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ვიზიტის დროს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მრავალ საკითხს სწავლობს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პატიმართა ნებისმიერ განცხადებას პერსონალის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით. თუმცა, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მანდატი მოიცავს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის ნებისმიერ ასპექტს. არასათანადო მოპყრობა სხვადასხვა ფორმით ვლინდება, რომელთაგან ბევრი შესაძლოა, არა

[29] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის გამოცემა, თბილისი, 2014 წ., იხ. [http://www.cpt.coe.int].

[30] *ვასილესკუ ბელგიის წინააღმდეგ (Affaire Vasilescu v Belgium),* საჩივარი #64682/12, გადაწყვეტილება 18.03.2014, იხ. [http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-148507#{"itemid":["001-148507"]}].

[31] *ვარგა და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ (Varga and Others v Hungary),* საჩივრები #14097/12, #45135/12, #73712/12, #34001/13, #44055/13 და #64586/13, გადაწყვეტილება 10.06.2015, იხ. [http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-152784#{"itemid":["001-152784"]}].

წინასწარ განზრახული, არამედ ორგანიზაციული შეცდომებისა და საკმარისი რესურსების ნაკლებობის შედეგი იყოს. შესაბამისად, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დაწესებულებაში ცხოვრების საერთო დონეს. ცხოვრების საერთო დონე კი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სხვა გარემოებებთან ერთად პატიმართათვის შეთავაზებული საქმიანობების სახეობებზე,[32] რაც საქართველოს რეალობაში ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს. საქართველოს სახალხო დამცველმა 2014 წლის ანგარიშში მიუთითა, რომ სარეაბილიტაციო პროგრამები განხორციელდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2, N5, N8, N11, N12, N14, N15, N17 დაწესებულებებში, რომლის დროსაც მსჯავრდებულებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ მონაწილეობა კულტურულ ღონისძიებებში, დაუფლებოდნენ ზოგად/პროფესიულ განათლებას და შეესწავლათ სხვადასხვა ხელობები, თუმცა მოცემული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სხვადასხვა აქტივობებში მსჯავრდებულთა ჩართულობა არადამაკმაყოფილებელია; ასევე აღინიშნა, რომ თავის მხრივ შეთავაზებული აქტივობებიც არ არის მრავალფეროვანი.[33]

სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში საკნების გადატვირთულობის პრობლემას. თუ პატიმართა რაოდენობა აღემატება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაზე გათვლილს, ეს უარყოფითად აისახება დაწესებულების შიგნით ყველა სახის მომსახურეობასა და საქმიანობაზე; დაწესებულებაში ცხოვრების საერთო დონე, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად დაიკლებს. მეტიც, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან მის ცალკეულ ნაწილში გადატვირთულობა შესაძლოა აღმოჩნდეს, ადამიანის ფიზიკური არსებობის თვალსაზრისით, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი.[34] 2006-2012 წლებში საქართველო ევროპასა და მსოფლიოში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გადატვირთულობით მოწინავე ადგილს იკავებდა (2006წ. – 352, 2008წ. – 426, 2010წ. – 530, 2012წ. – 432 ბრალდებული/მსჯავრდებული 100.000 მოსახლეზე),[35] რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით აღიარებულ არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობად იქცა არაერთი თავისუფლებააღკვეთილი პირისთვის (საქმე *ალიევი საქართველოს წინააღმდეგ,*[36] საქმე *რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ*[37]).

პრევენციის ევროპული კომიტეტის საქმიანობით მრავალი პრობლემური საკითხის დარეგულირება გახდა შესაძლებელი; ასე, მაგალითად პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა მნიშვნელოვანი ფოკუსირება მოახდინა პატიმართა სამარტოო საკანში მოთავსებაზე და დაადგინა, რომ სამარტოო საკანში მოთავსება პოტენციურად ზიანის მომტანია; სწორედ ამიტომ, პრევენციის ევროპული კომიტეტი მიიჩნევს, რომ პროპორციულობის პრინციპის დაცვით, აღნიშნული ზომა უნდა იქნას გამოყენებული დისციპლინური სახდელის სახით, როგორც უკიდურესი ზომა, მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში და მისი ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს. არასრულწლოვნებთან მიმართებით, ეს ვადა უფრო ნაკლები უნდა იყოს.[38] პრევენციის ევროპული კომიტეტის მოცემულ რეკომენდაციას ეფუძნება 2015 წელს საქართველოს პატიმრობის კოდექსში გატარებული ცვლილება, რომლის თანახმად, სამარტოო საკანში მოთავსების ვადა 20-დან 14 დღემდე შემცირდა.[39] არასრულწლოვნებთან მიმართებით მსგავსი დისციპლინური სახდელი საერთოდ არ გამოიყენება.[40] თუმცა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პრევენციის ევროპული კომიტეტის იმ სტანდარტს, რომელიც მოუწოდებს აიკრძალოს ერთი მეორეს მიყოლებით დისციპლინური

---

[32] ამონარიდი მე-2 საერთო ანგარიშიდან [CPT/Inf. (92) 3], პუნქტი 44.

[33] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2014წ., გვ. 93 და 96, იხ. [http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf].

[34] *იქვე,* პუნქტი 46.

[35] ინფორმაცია ეყრდნობა World Prison Brief მონაცემებს, იხ. [http://www.prisonstudies.org/country/georgia]

[36] *ალიევი საქართველოს წინააღმდეგ (Aliyev v Georgia),* საჩივარი #522/04, გადაწყვეტილება 13.04.2009, იხ. [http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fgadackvetilebebi%2Falievi.pdf].

[37] *რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ (Ramishvili and Kokhreidze v Georgia),* საჩივარი #1704/06, გადაწყვეტილება 27.04.2009, იხ. [http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fgadackvetilebebi%2Framishvili%20koxreidze.pdf].

[38] ამონარიდი 21-ე საერთო ანგარიშიდან [CPT/Inf. (2011) 28], პუნქტი 56(b).

[39] საქართველოს კანონი საქართველოს პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ (N3523, 2015 წლის 1 მაისი), 54-ე მუხლი, იხ. [https://matsne.gov.ge].

[40] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, 71^1 მუხლი, 1 პუნქტი, იხ. [https://matsne.gov.ge].

ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც სახდელის სახით ითვალისწინებს წყვეტის გარეშე სამარტოო საკანში განთავსებას მაქსიმალურ დასაშვებ პერიოდზე მეტი დროით.[41]

საქართველოს ხელისუფლებასა და პრევენციის ევროპული კომიტეტს შორის თხუთმეტწლიანი თანამშრომლობა სასჯელაღსრულების სფეროში კონსტრუქციულ რეჟიმში მიმდინარეობს, რაც ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებულ ვიზიტებსა და შემუშავებული არაერთი რეკომენდაციის შესრულებაში გამოიხატა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რიგი მნიშვნელოვანი საკითხი კვლავაც რჩება განუხორციელებელი და ამ მხრივ ხელისუფლების მხრიდან არსებითი ნაბიჯებია გადასადგმელი. პრევენციის თვალსაზრისით კი, მიზანშეწონილია შესწავლილ იქნას პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ სხვა ქვეყნებში განხორციელებული ვიზიტის შემდგომი ანგარიშები. შედეგად აქცენტი უნდა გაკეთდეს იქ გამოვლენილი დარღვევებისა და პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ წარდგენილი რეკომენდაციების გაანალიზებასა და ამ რეკომენდაციების ქართულ რეალობაში იმპლემენტაციაზე.

10. საერთაშორისო სიახლეები

ამერიკის უნივერსიტეტის ვაშინგტონის სამართლის კოლეჯის ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ცენტრი წარმატებით ახორციელებს პროექტს - წამების წინააღმდეგ ინიციატივა (Anti-torture Initiative) .[42] პროექტში აქტიურად მონაწილეობს წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი ბატონი ხუან მენდესი.

პროექტის მიზანია დაეხმაროს სპეციალურ მომხსენებელს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ სტრატეგიის დახვეწასა და მანდატის გაძლიერებაში. აღნიშნული მიზნების მისაღწევად, პროექტი ითვალისწინებს სპეციალური მომხსენებლის მხარდაჭერას მონიტორინგის განხორციელებასა და რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. აგრეთვე, მიზნად ისახავს შესთავაზოს სპეციალურ მომხსენებელს მრავალმხრივი დინამიკური მოდელი თემატური და ქვეყანაში ვიზიტის შემდგომ ანგარიშებში გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე ზედამხედველობის თვალსაზრისით.

წამების წინააღმდეგ ინიციატივის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მოძრაობა „მსოფლიო წამების გარეშე“. აღნიშნული მოძრაობის მიზანია, შექმნას საერთაშორისო ფორუმი სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კერძო პირების ჩართულობით და წაახალისოს წამების წინააღმდეგ ბრძოლა. 2015 წლის 26 ივნისს აღნიშნულმა მოძრაობამ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაატარა. მათ შორის აღსანიშნავია ვიდეო რგოლის ჩაწერა, რომლისთვისაც სპეციალურად შერჩეული იყვნენ პრევენციის ეროვნული მექანიზმების ხელმძღვანელები ნორვეგიიდან, სენეგალიდან, ყირგიზეთიდან, პარაგვაიდან და საქართველოდან. ვიდეო რგოლის მონაწილეებმა გაავრცელეს ვიდეო მიმართვა, სადაც საუბრობდნენ, თუ რას ნიშნავს მათთვის მსოფლიო წამების გარეშე[43].

11. მომავალი ღონისძიების ანონსი

2015 წლის ნოემბერში პრევენციის ეროვნული მექანიზმი საზოგადოებას წარუდგენს ანგარიშს, რომელიც ასახავს პენიტენციურ სისტემაში მოთხოვნა/საჩივრის განხილვის პროცედურის ეფექტურობისა და ამ პროცედურისადმი პატიმართა ნდობის ხარისხისა და დამოკიდებულების კვლევის შედეგებს. კვლევა განხორციელდა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით და მოიცავს როგორც სოციოლოგიურ კვლევას, ასევე კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზს.

გარდა ამისა, სპეციალური პრევენციული ჯგუფი ამჟამად ამუშავებს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის სამმართველოებში განხორციელებული მონიტორინგის დროს მოპოვებულ დიდი მოცულობის მონაცემებს. 2015 წლის ბოლოს იგეგმება მონიტორინგის შედეგების საზოგადოებისათვის გაცნობა.

[41] ამონარიდი 21-ე საერთო ანგარიშიდან [CPT/Inf. (2011) 28], პუნქტი 56(b).

[42] წამების წინააღმდეგ ინიციატივა (Anti-torture Initiative) იხილეთ: http://antitorture.org/about-the-project/ [ბოლოს ნანახია 14.07.2015]

[43] მოძრაობა „მსოფლიო წამების გარეშე“ იხილეთ: http://torturefreeworld.wix.com/torture-free-world#!our-videos/c21kz [ნანახია: 07.09.2015]

საქართველოს
სახალხო დამცველი

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი 2015 წელი

კონტაქტი:

ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179

ტელ: +99532 2234499/2913814/2913815/
2913841/2913842/2913843/2913875/2913876
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქუჩა N9
მობ: 577 50 52 31
ტელ: 0422 27 05 44

ზუგდიდი:
კოსტავას 58
მობ: 577 50 52 34
ტელ: 0415 22 36 11

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქუჩა 4
მობ: 577 12 27 70
ტელ: 0362 22 32 83

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.36
მობ: 591 88 35 88
ტელ: 0350 27 99 27

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
მობ: 577 55 33 81
ტელ: 0431 25 33 50

გორი:
სამების ქუჩა N1
მობ: 577 78 27 42
ტელ: 0370 27 05 49

მარნეული:
რუსთაველის ქუჩა N51
ტელ: 0357 22 19 70